ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N34

ქ.თბილისი

25 დეკემბერი, 2018 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
გიორგი გაბაშვილი
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
გიორგი მუსხელიშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ვლადიმერ ძნელაძე
ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
მარინა დათუკიშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები;
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის და მერიის ერთი წლის მუშაობის ანგარიშის მოსმენა და სიტყვა გადასცა მერს, კახა კალაძეს.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა“. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა კახა კალაძემ, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა თბილისში, ბოლო ერთი წლის მანძილზე, განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე. მისი თქმით, წარმატების მისაღწევად აუცილებელია მართვის სწორი პოლიტიკა და სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, რეფორმები განხორციელდა მენეჯმენტის კუთხით: შეიქმნა ურბანული განვითარების სამსახური, რომლის გამართული მუშაობა უზრუნველყოფს ქალაქში დღეს არსებული ქაოტური განაშენიანების დასრულებას და სწორი მიმართულებით განვითარებას; განისაზღვრა სატრანსპორტო და გარემოს დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სამსახურები; შეიქმნა ეკოსერვის ჯგუფი - „თბილისის მებაღე“; შეიქმნა მუნიციპალური ინსპექცია; განხორციელდა სამართლებრივი რეფორმები; დასრულდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის განვითარების გენერალურ გეგმის პროექტზე მუშაობა; შემუშავებულია მტვრის წარმოქმნის პრევენციის ნორმები; მშენებლობის პროცესში მოხდა სატრანსპორტო შეფასებისა და დენდროლოგიური პროექტების ინტეგრირება; მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები და გადაიგზავნა პარლამენტში; გამკაცრდა სანქციები ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობაზე; იმპორტისა და რეალიზაციის დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდა ელექტრომრავიანი მიკრო და დიდი ავტობუსები; შეიქმნა სპეციალური პლატფორმა „შენი იდეა ქალაქის მერს“, რომლის ფარგლებშიც უკვე განხორციელდა რამდენიმე პროექტი; განხორციელდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსების რეფორმა; დამტკიცდა იმ ხე-მცენარეთა ნუსხა, რომელთა დარგვაც, ეკოლოგიური კუთხით, ქალაქისთვის მნიშვნელოვანია; ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები: გზების აღდგენა-რეაბილიტაციის მასშტაბური სამუშაოები დასრულებულია 12 ლოკაციაზე; მოეწყო საქვეითო ინფრასტრუქტურა, კერძოდ: ახალი გაჩერებები, გადასასვლელები და ტროტუარები; მიმდინარეობს ქუჩების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. განხორციელდა მიწისქვეშა კომუნიკაციების ცვლილებები; გზაგამყოფები და ბეტონის

კუნძულები შეიცვალა გამწვანებით; დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი ღამის განათების ბოძები; თბილისის ათივე რაიონში განხორციელდა გრუნტის დამჭერი კედლების რეაბილიტაცია-მოწყობა და კეთილმოწყობის სხვადასხვა სამუშაოები; განხორციელდა ხიდებისა და გზაგამტარების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია, მათ შორის: მდინარე ვერეზე, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდებარე საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია; დასრულდა სატრანსპორტო კვანძის მშენებლობა ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების გადაკვეთაზე; მიმდინარეობს მარშალ გელოვანის გამზირის და სარაჯიშვილის ქუჩის დამაკავშირებელი ორ დონიანი კვანძის მშენებლობა და ზემო და ქვემო ფონიჭალას დამაკავშირებელი გვირაბის მშენებლობა; ასევე, მიმდინარეობს ვახუშტის, ვარკეთილის და მდინარე გლდანულაზე გადასასვლელი ხიდების რეაბილიტაცია. მუხიანის, აგარაკების დასახლებაში მიმდინარეობს წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; ანალოგიური პრობლემა იყო სოფელ დიღომში, გარკვეულ ქუჩებზე, საკანალიზაციო ქსელის არ არსებობის გამო და აქაც დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც მოეწყობა საგზაო ინფრასტრუქტურა; მოწესრიგდა მიწისქვეშა გადასასვლელებში არსებული მდგომარეობა; მიმდინარეობს თბილისის ისტორიული ზონების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ, ორბელიანის და გუდიაშვილის მოედნების სრული რეაბილიტაცია; გამწვანების მიმართულებით მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა პარკებსა და სკვერებს; მოეწყო სპორტული, საბავშვო გასართობი მოედნები და ფიტნეს ზონები; სხვადასხვა უბნებში, მოსახლეობასთან შეთანხმებით, აღებულია ავტოფარეხები, რომელთა ადგილას მოეწყო სკვერები და სპორტული მოედნები; შემუშავდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა და სტრატეგია; თბილისის ბოტანიკურ ბაღში, ბაღის ცენტრალური ტურისტული ბილიკიდან ოქროყანის მიმართულებით, ხორციელდება სათავგადასავლო ველო-ბილიკის მოწყობის პროექტი, რომელიც დედაქალაქს აჩუქა საქველმოქმედო ფონდმა „ქართუ“ და რომლის ფარგლებშიც ბოტანიკური ბაღის საზღვრები გაიზარდა 17 ჰექტარით. ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში დაწყებულია მუშაობა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყოს განახლებული, მოწესრიგებული, სწრაფი და კომფორტული. კერძოდ: 2019 წლის ბოლოსთვის დასრულდება შესყიდვები და ქალაქს ეყოლება განახლებული, ევროპული, ეკოლოგიურად სუფთა, ელექტრო და გაზზე მომუშავე ძრავიანი ავტობუსები, ხოლო 2020 წლიდან თბილისში შემოვა ახალი სტანდარტის ელექტრო ავტობუსი; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მეტროში არსებული რთული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სექტემბერში მეტროს დაემატა ოთხი რეაბილიტირებული შემადგენლობა და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს მუშაობა კიდევ ოთხი შემადგენლობის რეაბილიტაციაზე და დამატებაზე; მიმდინარეობს მუშაობა მიწისზედა მეტროს და თბილისის მეტროს რუსთავთან დაკავშირების პროექტებზე. ასევე, მიმდინარეობს კვლევა მდინარე მტკვრის საზოგადოებრივი და ტურისტული სატრანსპორტო განვითარების მიმართულებით. მიმდინარე წელს ამოქმედდა თბილისის პარკინგის მომსახურების სერვის ცენტრი; ტაქსებთან დაკავშირებით განხორციელდა რეფორმა, რომლის მიზანია ქალაქში ამ მიმართულების მოწესრიგება და მგზავრებისთვის უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობა. განათლებისა და კულტურის მიმართულებით აშენდა და გაიხსნა 11 თანამედროვე სტანდარტის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებული საბავშვო ბაგა-ბაღი, ხოლო 38 საბავშვო ბაგა-ბაღში ჩატარდა მასშტაბური სარემონტო სამუშაოები; მნიშვნელოვანია ასევე, მუზეუმების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც დასრულდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, კოტე და სოსო წერეთლების მემორიალური სახლ-მუზეუმების რეაბილიტაცია; დასრულდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის სრული რეაბილიტაცია და ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მისი აღჭურვა თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტებით; დაიწყო სახელოვნებო სკოლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები; გაიხსნა მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსები და მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ თბილისის ყველა რაიონში იყოს მინიმუმ ერთი ასეთი ტიპის კომპლექსი. სოციალური და საგანმანათლებლო მიმართულებით ბიუჯეტი გაიზარდა

სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობისთვის და განხორციელდა არაერთი პროექტი. ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით არსებულ პროგრამებს დაემატა რამდენიმე ახალი კომპონენტი. საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს საცხოვრებელი ბინების დაკანონების პროექტი, რომელიც გაგრძელდება მომავალ წელსაც. თბილისის ეკონომიკის განვითარების მიზნით, განხორციელდა რამდენიმე წარმატებული პროექტი, მათ შორის, „თბილისური ბაზარი"; შემუშავდა რადიოქალაქის ახალი პროექტი, რომელიც აშენდება მუხიანის დასახლებაში; მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, ამოქმედდა ბიზნეს-აქსელერატორი; მიმდინარეობს მუშაობა ღამის ეკონომიკის განვითარების მიმართულებით. კახა კალაძის, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, თბილისში განხორციელდა კიდევ ბევრი სხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტი, თუმცა, დღეს, რეალურად, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი პრობლემა და სერიოზული გამოწვევებია და იმედი გამოთქვა, რომ „ყველა ერთად, ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ ამ პრობლემებს ღირსეულად გავუმკლავდეთ".

კახა კალაძემ ასევე, ისაუბრა 2019 წლის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ ის გადააჭარბებს მილიარდ ლარს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მუნიციპალიტეტს ექნება შესაძლებლობა განახორციელოს კიდევ უფრო მეტი საინტერესო პროექტი. მისი თქმით, თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის 38% დაიხარჯება ინფრასტრუქტურული მიმართულებით, დაახლოებით 35%-ზე ცოტა მეტი დაიხარჯება სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს წარდგენილი პრეზენტაციისთვის, აღნიშნა, რომ ანგარიში ასახავს თუ რაოდენ მასშტაბური სამუშაოები და რეფორმები განხორციელდა ერთი წლის განმავლობაში. განაცხადა, რომ მომავალ წელს დაგეგმილია კიდევ უფრო მასშტაბური სამუშაოების და პროექტების განხორციელება და იმედი გამოთქვა, რომ ამ კუთხით, 2019 წელი იქნება კიდევ უფრო წარმატებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა კითხვებით მიმართეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

ბექა დავითულიანმა აღნიშნა, რომ წლის შეჯამება იყო შთამბეჭდავი, 2018 წელი იყო აქტიური და დინამიური, ხოლო თბილისის 2019 წლის ბიუჯეტი ბოლო წლების მანძილზე ერთ-ერთი საუკეთესოა. ისაუბრა დაავადებული ხეების ჩანაცვლების პროგრამაზე, რომელზეც, პერიდოულად, სოციალურ ქსელში იყო „ცრუ განგაში", რადგან მოქალაქეები ვერ ერკვეოდნენ ხორციელდებოდა ხეების ჩანაცვლება თუ ხდებოდა უკანონო ჭრა და ამიტომ, ითხოვა დეტალური განმარტების გაკეთება ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, ისაუბრა აეროპორტის გზაზე მიმდინარე ხიდის მშენებლობაზე, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა შეფერხებულია, რაც იწვევს საცობებს და დაინტერესდება, როგორ გადაწყდება და როდის მოგვარდება აღნიშნული პრობლემა.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ არის ძალიან ბევრი კითხვა და მიმართა ქალაქის მერს: რატომ მწვავდება საცობების პრობლემა ყოველდღიურად მაშინ, როდესაც ქალაქის მერი ამბობს, რომ ამ მიმართულებით კეთდება ძალიან ბევრი; მიუხედავად იმისა, რომ კომპანია „ct-park"-ს შეუწყდა ხელშეკრულება, რატომ არაფერი შეიცვალა პარკინგთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების კუთხით და რატომ არ იყო მერის მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციაში თუნდაც ერთი მრავალსართულიანი პარკინგის მშენებლობა; რატომ აღარ არის პრიორიტეტი ავარიული კორპუსების გამაგრება; თვლის თუ არა ქალაქის მერი, რომ ღამის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით მერის მიერ დაანონსებული განცხადება, იყო თუ არა წარუმატებელი პროექტი; მაშინ, როდესაც დედაქალაქში ბევრი მწვავე ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემაა, 2019 წელს რატომ იზრდება ბიუროკრატია და მათ შორის, სახელფასო ფონდი რიგითი თანამშრომლების ფულადი ჯილდოებისთვის; მაშინ, როდესაც ქალაქის მერი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ტაქსების მძღოლებს ძალიან უჭირთ, ამ ადამიანებს რატომ „უყოფთ ჯიბეში ხელს და გინდათ იმ მცირე ლუკმაში

ჩაეწილოთ, რომლითაც ისინი ოჯახებს არჩენენ"; ორბელიანის მოედნის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით შესასრულებელ სამუშაოებზე გაფორმებულ ხელშეკრულებაზე დაინტერესდა, რატომ აგრძელებს კახა კალაძე დავით ნარმანიას მავნე პრაქტიკას, როდესაც ათეულობით მილიონ ლარიან კონტრაქტებს, ტენდერის გარეშე აკონტრაქტებს ისეთ კომპანიებთან, რომლებიც გვევლინებიან „ქართული ოცნების" მხარდამჭერებად და დამფინანსებლებად; კახა კალაძის გამოჩენასთან ერთად, რატომ გამოჩნდნენ მილანური და იტალიური კომპანიები, რომლებთანაც ხელშეკრულებები ფორმდება ტენდერის გარეშე, გამარტივებული შესყიდვით. საუბრის ბოლოს ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ არსებობს ძალიან ბევრი მწვავე კითხვა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არც ქალაქში და არც ქვეყანაში არ არის ჩვეულებრივი მდგომარეობა, ყველა კითხვის დასმას ეკარგება აზრი და კახა კალაძეს, როგორც ქალაქის მერს და „ქართული ოცნების" მაღალჩინოსანს მიმართა კითხვით: „რატომ გააყალბეთ არჩევნები".

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ აუტიზმის სპექტრის მქონე ადამიანების დახმარებასთან დაკავშირებული პროგრამა დაიწყო 2015 წელს და მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იზრდება დაფინანსება, რეალურად მაინც არ არის საკმარისი, რადგან ყოველთვის არის მომლოდინეთა რიგი და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა რაიმე ამ პრობლემის მოგვარებისთვის. ასევე, დაინტერესდა არის თუ არა განსაზღვრული ვადები, როდის დაიწყება და დასრულდება უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან ბაგებისკენ მიმავალი სამანქანო ხიდის მშენებლობა.

მარინა დათუკიშვილმა კახა კალაძეს მიმართა რამდენიმე კითხვით: წერილობითი მიწვევის მიუხედავად, რატომ არ ცხადდებიან თბილისის მთავრობის წევრები საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის სხდომაზე და არ პასუხობენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ შეკითხვებს; თბილისის მერია რატომ არ აწვდის საჯარო თუ სამსახურებრივ ინფორმაციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციას; რატომ არ აქვს საკრებულოს ინფორმაცია ვარკეთილის მეტროსადგურში ჭერის ჩამონგრევაზე პასუხისმგებელ პირებზე; თბილისში რატომ უნდა იყოს ტაქსი თეთრი ფერის და ძვირადღირებული; 2019 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით რატომ იზრდება ბიუროკრატიული ხარჯები დაახლოებით 7 მილიონი ლარით მაშინ, როდესაც ადამიანებს დუხჭირ მდგომარეობაში უწევთ ცხოვრება. მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება ქალაქის მერის გამონათქვამს „თბილისი სიყვარულის ქალაქია" იმის პარალელურად, როდესაც კახა კალაძე ხშირად საუბრობს „სიძულვილის ენით". მისი თქმით, თბილისი იყო სიყვარულის, სიცოცხლის და საქმიანი ქალაქი, თუმცა ეს იყო წარსულში, „დღეს თბილისი აბსოლუტურად გაურკვეველი ქალაქია". მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ ამდენი პასუხგაუცემელი კითხვის მიუხედავად, აქვს ერთადერთი კითხვა: „რატომ გააყალბეთ არჩევნები, რატომ მიიტაცეთ ხელისუფლების კიდევ ერთი შტო".

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წელი ახალი ბაგა-ბაღების გახსნის რაოდენობით იყო უპრეცედენტო და 2019 წელს გაგრძელდება სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. თბილისის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით, ამ მიმართულებით დაფინანსება საგრძნობლად იზრდება, რადგან დაგეგმილია კომპლექსური რეფორმა, კერძოდ: მიმდინარეობს სკოლამდელი განათლების რეფორმა, ბაგა-ბაღების თანამშრომლებს უნდა შევთავაზოთ ღირსეული დაფინანსება, დაგეგმილია აღმზრდელებისთვის პედაგოგის სტატუსის მინიჭება. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ვერ მოხერხდა ხელფასების მატების გათვალისწინება, დაინტერესდა, იქნება თუ არა ეს შესაძლებელი 2019 წლის განმავლობაში.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, ქალაქის მერის გამოსვლაში წარმოდგენილი არ იყო თბილისის განვითარების ხედვა და კონცეფცია, რომლის გარეშეც აქტივობები კონტესტიდან იქნება ამოვარდნილი, ბიუჯეტის ხარჯვა, ეკონომიკის კოლაფსი და განაცხადა: „ვისურვებდი გვქონოდა ხედვა, დინამიკის შეგრძნება და ქვეყნის წინსვლის არა მხოლოდ სურვილი და ზედაპირული გამოხატულება, არამედ მასთან დაკავშირებული საქმიანი ნაბიჯების რეალურად გადადგმის შესაძლებლობაც".

ქეთევან ჯოხაძემ აღნიშნა, რომ თბილისის გარეუბნებში ჯერ კიდევ პრობლემად რჩება საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკითხი და დაინტერესდა, როდის იქნება შესაძლებელი ახალი ხაზების დამატება ან არსებული ხაზების კორექტირება. ასევე, აღნიშნა, თბილისში კეთილმოეწყო ბევრი ისეთი ქუჩა, რომელზეც ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო, ვერ ხერხდებოდა დასუფთავებითი სამუშაოების განხორციელება და დაინტერესდა ამ ქუჩების დასუფთავებისთვის მოხდება ახალი კადრების დამატება თუ მოქმედ თანამშრომლებს გაეზრდებათ დასუფთავების არეალი.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ საქსტატის მონაცემებით, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში სურსათზე ფასები გაიზარდა 20%-ით, კომუნალურ გადასახადებზე - 18%-ით, მედიკამენტებზე 60%-ით, ჯანდაცვაზე - 37%-ით და დაინტერესდა, „ამ გაძვირებული ცხოვრების პირობებში" რატომ არ იხსნება ქველიმიტები სოციალურად დაუცველი ოჯახების კომუნალურ ვაუჩერებზე, რათა შეძლონ გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება; რატომ არ ითვალისწინებს ხელისუფლება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლების შეთავაზებას პენსიონერებისთვის მედიკამენტების ვაუჩერის გამოყოფაზე; რატომ არ იზრდება უფასო სასადილოების დაფინანსება; რატომ დააწყებინეთ მუშაობა მერიაში ჯანდაცვის მინისტრის ძმას; რატომ არ შემოგაქვთ სარეზერვო ფონდის დაფინანსების წესი; რატომ არ ჰქონდა ქალაქის მერს რეაგირება უფასო სასადილოებში პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის ბუკლეტების დარიგებაზე; რატომ იყენებთ თბილისელების სოციალურ ბიუჯეტს პარტიული აქტივის დასაფინანსებლად; რა საჭიროება ჰქონდა სალომე ზურაბიშვილის წარმომადგენელს, როდესაც ერთჯერადად დაეხმარნენ 400 ლარით მაშინ, როდესაც სოციალურად დაუცველი მოქალაქეს 100 ლარითაც კი არ დაეხმარნენ. თუმცა, ამდენი კითხვის მიუხედავად, მთავარი კითხვაა: „რატომ უკეტავთ გზას ჩვენ მომავალ თაობას თავისუფალი სამყაროსკენ - რატომ გააყალბეთ არჩევნები".

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში წარმოდგენილ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტში სერიოზული კითხვის ნიშნებია ჩარჩო გეგმასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, უმჯობესი ხომ არ იქნება გენ.გეგმით გათვალისწინებულ ჩარჩო გეგის 11 არაელზე, სადაც დღეს დაწესებულია შეზღუდვები, შევიმუშავოთ სხვა ქალაქგეგმარებითი დოკუმენტები. ასევე, დაინტერესდა ავარიული კორპუსების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ხომ არ იგეგმება რაიმე კონცეფციის შემუშავება, რათა ამ მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსება დაიხარჯოს უფრო ეფექტურად.

ლევან ხაბეიშვილმა რამდენიმე კითხვით მიმართა ქალაქის მერს: მისი თქმით, კახა კალაძემ, თბილისის მერად არჩევისას, განაცხადა, რომ შეამცირებდა ბიუროკრატიას, თუმცა დანიშნა მრჩეველები, რომელთა ანაზღაურება 5000 ლარია და დაინტერესდა, ეს ორი რამ როგორ თანხვედრაშია ერთმანეთთან; რატომ იძენს მერია ბიუჯეტიდან მილიონობით ლარის ავტომობილს; გვაქვს თუ არა საქმე კორუფციასთან მაშინ, როდესაც საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვამდე იცოდა „არქის" ოპერატორმა, რომ ერთ-ერთ მისამართზე 18 სართულიანი კორპუსის მშენებლობის ნებართვას გასცემდნენ; რატომ ჰგონია ხელისუფლებას, რომ საპარკინგე ადგილების დახაზვა არის პარკირების პრობლემის მოგვარება; რატომ ჰგონია ქალაქის მერს, რომ მისი საქმეა იმაზე ფიქრი, რომ თბილისში ტაქსით მომსახურება იაფია და უნდა გაძვირდეს; გრძნობს თუ არა კახა კალაძე მორალურ და ადამიანურ პასუხისმგებობას იმაზე, რომ მისი პოლიტიკური გუნდის „რეპრესიების" შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო ერთი სასიკვდილოდაა დაჭრილი. კითხვების დასრულების შემდეგ, ლევან ხაბეიშვილმა მიმართა ქალაქის მერს „თქვენ ოპოზიციასთან არ გაქვთ პრობლემა, პრობლემა გაქვთ თბილისელებთან".

ლევან ხაბეიშვილის გამოსვლის შემდეგ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა დატოვეს სხდომა.

ირაკლი ზარქუამ კითხვით მიმართა მერის პირველი მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს. იქიდან გამომინარე, რომ დაანონსებულია თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის ზრდა,

დაინტერესდა, არის თუ არა კონკრეტული მოლოდინები, დაახლოებით რა რესურსით იქნება შესაძლებელი 2019 წლის ბიუჯეტის ზრდა.

გიორგი გაბაშვილის თქმით, როდესაც ცენტრალურ ბიუჯეტში დაუხარჯავი რჩება 1144000000 ლარი და ამ თანხის საქმე გაუკეთებელი, ეს არის „ქვეყანაში საბიუჯეტო წესრიგის მორღვევა და დარღვევა". დაინტერესდა, ამ პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა, რომ ქალაქის ბიუჯეტს დამატებოდა 170 მილიონ ლარზე მეტი ან ქალაქის ხელისუფლებას რამდენიმე თვით ადრე რომ სცოდნოდა ამ თანხის დამატების შესახებ, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა თუნდაც ათასობით ავარიული სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება; საინტერესოა რა კონცეფციაზე და გააზრებულ პოლიტიკაზეა საუბარი მაშინ, როდესაც წარმატებულს უწოდებთ ტაქსების სფეროში განხორციელებულ რეფორმას, რომლის ფარგლებშიც სერვისი ძვირდება ყველასთვის, კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ტაქსების შემოსავალი მცირდება, რადგან მათ ეკისრებათ ზედმეტი ხარჯი, ხოლო პარალელურად ქალაქის მერი ამბობს, რომ ტაქსით მგზავრობა იაფია და უნდა გაძვირდეს ანუ მომსახურეობა ძვირდება როგორც ტაქსის მძღოლებისთვის, ასევე მგზავრებისთვის; აღნიშნა, რომ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების რაოდენობა არის 125, რომელთა მკურნალობას სჭირდება 600-დან 800 ათას ლარამდე და იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის ბიუჯეტი გადააჭარბებს მილიარდ ლარს, შესაძლებელია თუ არა ამ პრობლემის მოგვარება.

მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ დღეს ქალაქში გარემოსდაცვითი კუთხით საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა და დაინტერესდა აქვს თუ არა ქალაქს კონცეფცია გამწვანებასთან და დაბინძურებული ჰაერის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, კერძოდ, სად და რა ფართობის ტერიტორია უნდა იყოს გამწვანებული და რომელ უბანში როგორი ტიპის გამწვანება იქნება საჭირო.

ფრიდონ ინჯიამ აღნიშნა, რომ დღეს ერთ-ერთი პრობლემა არის მიწისქვეშა გადასასვლელების დასუფთავება და დაინტერესდა, არის თუ არა შესაძლებელი, რომ დასუფთავება მოხდეს ყოველდღიურად, რისთვისაც საჭირო არ არის დამატებითი თანხის გამოყოფა, საკმარისია მხოლოდ შესაბამისი კონტროლი. მისი თქმით, ასევე დამატებითი დაფინანსების გარეშე შესაბამისი კონტროლის საშუალებით არის შესაძლებელი ქალაქის იერსახეზე ზრუნვა და საკანალიზაციო ჭების კუთხით არსებული საკითხის მოგვარება.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დამისამართებისას ქალაქში მონტაჟდება ერთი დიზაინის აბრები და კითხვით მიმართა მერის მოადგილეს ირაკლი ბენდელიანს, უმჯობესი ხომ არ იქნება ერთნაირი სტანდარტის აბრები დამონტაჟდეს ასევე სკვერებსა და პარკებში. აქვე, აღნიშნა, რომ მიმდინარეობს გუდიაშვილის და ორბელიანის მოედნების რეაბილიტაცია და დაინტერესდა, უმჯობესი ხომ არ იქნება ამ მოედნების მიმდებარე ქუჩებზე დამონტაჟდეს მე-18 საუკუნის სამისამართე აბრები, ე.წ. სანათიანი დიზაინი. თინათინ ნიბლოშვილმა კითვხით მიმართა ასევე, მერის მოადგილეს, მაია ბითაძეს და დაინტერესდა, რა ეტაპზეა და როდის დასრულდება პარკების და სკვერების ინვენტარიზაციის კუთხით მიმდინარე სამუშაოები.

ელენე ოზაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლის გაზაფხულზე დაანონსდა თბილისში არსებული ბიბლიოთეკების რეორგანიზაცია, თუმცა საკითხი დღემდე გაურკვეველია და დაინტერესდა, რა იგეგმება ამ მიმართულებით და რა ელით იქ მომუშავე ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ ძალიან დაბალ ანაზღაურებაზე და ემსახურებიან ჩვენი საზოგადოების ყველა თაობის მკითხველს.

გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი პრიორიტეტები სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით მისასალმებელია, მათ შორის ორი ახალი მულტიფუნქციური სპორტული კომლექსის მშენებლობა დიდ დიღომსა და ვარკეთილში. მისი თქმით, თბილისის ზოგიერთ რაიონში რთული იქნება ისეთი ლოკაციის შერჩევა, სადაც ნახევარ ჰექტარზე განთავსებული მულტიფუნქციური კომპალექსის მშენებლობა იქნება შესაძლებელი და დაინტერესდა, ხომ არ ფიქრობს დედაქალაქის მერია,

რომ ამ მხრივ შესაძლებელია შედარებით მცირე მასშტაბის კონცეფციის შეთავაზება საზოგადოებისთვის.

გულია გოცირიძემ აღნიშნა, რომ 2018 წელს დაიწყო საკმაოდ საინტერესო პროექტი, რომელიც ეხებოდა ავტოფარეხების აღებას და მათ ადგილას სკვერის ან გასართობი მოედნის მოწყობას, რაც განხორციელდა რამდენიმე მისამართზე და დაინტერესდა, გაგრძელდება თუ არა აღნიშნული პროექტი 2019 წელს.

დათო ჟღენტმა აღნიშნა, რომ ავარიული კორპუსების რეაბილიტაცია თბილისში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა, რომლის მოგვარებაც აქტიურად განიხილებოდა წინასაარჩევნო პერიოდში, თუმცა, 2019 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით ამ მიმართულებით დაფინანსება შემცირებულია და დაინტერესდა, რით არის აღნიშნული გამოწვეული: აღარ არის ავარიული სახლების პრობლემა თუ უკვე მოგვარდა ეს საკითხი. ასევე, დაინტერესდა, ნაჩქარევი ხომ არ იყო კახა კალაძის მიერ ე.წ. „ხრუშჩოვკებთან" დაკავშირებული წინასაარჩევნო დანაპირები და დაგეგმილია თუ არა ამ პრობლემის მოგვარება.

ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით ნაგავსაყრელის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 15 მილიონი ლარი და მიმართა მერის მოადგილეს, მაია ბითაძეს, შესაძლებლობის ფარგლებში დაეკონკრეტებინა, რა სამუშაოების ჩატარება იგეგმება ამ თანხის ასათვისებლად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა და მისმა მოადგილეებმა უპასუხეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კახა კალაძემ დაავადებულ ხეებთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ქალაქის მასშტაბით დაწყებულია ინვენტარიზაცია. დაგეგმილია მათი ჩანაცვლება და ასევე, ახალი ხე-მცენარეების დარგვა. აეროპორტის გზაზე ხიდის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ეს არის ნათელი მაგალითი, როგორი არ უნდა იყოს კონტრაქტორი სამშენებლო კომპანია". მისი თქმით, კატეგორიულად მიუღებელია საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება, უახლოეს დღეებში ამ საკითხს მოჰყვება შესაბამისი რეაგირება და აუცილებლად დადგება კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი. მიწისქვეშა პარკინგის მოწყობასთან დაკავშირებით, გამოყოფილია კონკრეტული ლოკაციები და გამოცხადებულია ინეტერესთა გამოხატვა, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ინტერესი გამოხატა მხოლოდ ერთმა კომპანიამ, რადგან ბიზნესის თვალსაზრისით მიწისქვეშა პარკინგი არარენტაბელურია. მისი თქმით, თუ არ იქნება დაინტერესება, აღნიშნულ პროეტებს განახორციელებს მუნიციპალიტეტი. დედაქალაქის მთავრობის მხრიდან კომპანია „ct-park"-თან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება იყო საკმაოდ პასუხისმგებლიანი, რადგან ის არღვევდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. კახა კალაძემ ისაუბრა ღამის ეკონომიკაზე და განაცხადა, რომ ეს სფერო განვითარდება. ამა თუ იმ კომპანიასთან ტენდერის გარეშე გაფორმებულ ხელშეკრულებებზე აღნიშნა, რომ ამას აქვს თავის ახსნა, კერძოდ, ისტორიული ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, აუცილებელია შეირჩეს კვალიფიციური და გამოცდილი კომპანიები იმისთვის, რომ არ მივიღოთ სავალალო შედეგი. ხოლო თუ რატომ მოხდა პირდაპირი შესყიდვით ხელშეკრულების გაფორმება სხვადასხვა შემთხვევაში, დეტალურად ისაუბრებს ირაკლი ბენდელიანი. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების დახმარების პროგრამაზე განაცხადა, რომ ამ კუთხით დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება და თუ არსებობს ხედვა, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ეს მიმართულება, მზად არის მსჯელობისთვის, რომ შემუშავდეს კონცეფცია, საჭიროების შემთხვევაში, ბიუჯეტიდან გამოიყოს დამატებითი თანხა, რომ ეს პრობლემა იქნას მოგვარებული. ბაგების და საბურთალოს დამაკავშირებელ სამანქანო ხიდზე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტირება, მომდევნო წელს დაგეგმილია მშენებლობის დაწყება, ხოლო პროექტის განხორციელებას დასჭირდება ორი წელი. მარინა დათუკიშვილის შეკითხვაზე, რატომ არღვევენ თბილისის მთავრობის წევრები საკრებულოს რეგლამენტს, განაცხადა, რომ „ჩვენ მზად ვართ, კონსტრუქციულ რეჟიმში, ნებისმიერ პოლიტიკოსთან, პოლიტიკურ პარტიასთან

ან თბილისზე შეყვარებულ ადამიანთან, ნებისმიერ დროს განვახორციელოთ შეხვედრები... ჩვენ არასდროს გავურბივართ მწვავე კითხვებს". ვარკეთილის მეტროში ჭერის ჩამონგრევასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა მაშინვე დაიწყეს გამოძიება, ამ ეტაპზე რაც დადასტურებულია, არის ის, რომ განხორციელებული პროექტი „იყო უვარგისი" და მოხდა ხელახალი დაპროექტება. ტაქსების რეფორმაზე განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია ამ მიმართულების მოწესრიგება და პირველ ეტაპზე გადადგმული ნაბიჯები არის დასაწყისი, რომ ტაქსის სერვისი იყოს კომფორტული, როგორც მძღოლებისთვის, ასევე მგზავრებისთვის. კახა კალაძემ საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლების ხელფასებზე აღნიშნა, რომ მათი ანაზღაურება არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, საითაც ამ მიმართულებით მიდის მუნიციპალიტეტი, თუმცა მიმდინარეობს მუშაობა ბაგა-ბაღების თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდაზე. გაუგებარი უწოდა ნიკოლოზ ვაჩეიშვილის მოსაზრებას, თითქოს ქალაქის მთავრობას არ გააჩნია თბილისის განვითარების ხედვა და კონცეფცია, რადგან ის, რაც გაკეთდა ერთი წლის მანძილზე და რისი გაკეთებაც არის დაგეგმილი, სწორედ იმ პოლიტიკის ნაწილია, სადაც გათვალისწინებულია დედაქალაქში არსებული პრობლემების მოგვარება და ყველა გამოწვევაზე პასუხის გაცემა. სხვადასხვა უბნებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით არსებულ პრობლემაზე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ფიზიკურად არ არის ავტობუსების საკმარისი რაოდენობა და სწორედ იმიტომ, რომ ყველა უბანს მოემსახუროს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, დაგეგმილია ავტობუსების რაოდენობის გაზრდა 250 ერთეულით. რაც შეეხება ახალი, კეთილმოწყობილი ქუჩების დასუფთავებას, ამას უზრუნველყოფს კომპანია „თბილსერვის ჯგუფი". კახა კალაძემ, ლილე ლიპარტელიანის კითხვაზე უფასო სასადილოებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით გაზრდილია ბიუჯეტი და ტენდერიც უკვე დასრულებულია. ხოლო, ჯანდაცვის მინისტრის ძმის მერიაში მუშაობის დაწყებაზე განაცხადა, რომ საერთოდ არ იცნობს მას და მუშაობა დაიწყო კონკურსის წესით. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გენ.გეგმაზე მომუშავე ჯგუფის მიერ შერჩეული 11 არეალი, რომლებზეც შეჩერებულია მშენებლობა, ქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვანია და მათი სწორად განვითარება აუცილებელია ქაოტური განაშენიანების თავიდან აცილების მიზნით. ხოლო, თუ საკრებულოს წევრებს მიაჩნიათ, რომ უმჯობესი იქნება ამ არეალების განვითარება გრგ-ებით, დედაქალაქის მერია მზად არის, საკრებულოსთან და სპეციალისტებთან ერთად განიხილოს და ერთობლივად მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. ლევან ხაბეიშვილის მიერ ნახსენებ, რაჭაში მოხდარ დაპირისპირებაზე და „რეპრესიებზე" განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებაში ყოფნისას გვაჩვენებდა „როგორი არ უნდა იყო ხელისუფალი და როგორ არ უნდა მართო ქვეყანა. დღეს გვაჩვენებს, როგორი არ უნდა იყოს ოპოზიცია", რადგან პოლიტიკასთან არ უნდა დააკავშირო ორ ადამიანს შორის დაპირისპირება. ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით. აღნიშნა, დღეს ქალაქში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა და ამ მიმართულებით დღეს ძალიან ბევრი რამ კეთდება, თუნდაც ტრანსპორტის მოწესრიგების კუთხით გატარებული ღონისძიებები, მწვანე სივრცეების შექმნა და არსებულის მოვლა-პატრონობა, სამშენებლო მიმართულებით რეგულაციების შემოღება. მიწისქვეშა გადასასვლელებზე, საკანალიზაციო ჭებსა და ქალაქის იერსახის მოწესრიგებაზე აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო მისი ქალაქის მერად არჩევის დღიდან და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს. გუდიაშვილის და ორბელიანის მოედნებზე, რეაბილიტაციის შემდეგ მე-18 საუკუნის სამისამართე აბრების განთავსებაზე განაცხადა, რომ მერია მზად არის ამ საკითხზე თანამშრომლობისთვის. კახა კალაძემ, თბილისის ყველა რაიონში მულტიფუნქციური სპორტული კომპლესის მშენებლობსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თუ ვერ მოხერხდება შესაბამისი მასშტაბის მიწის ფართის მოძიება, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იქნება მცირე ზომის, თუნდაც ორი კომპლექსის განვითარება. ავტოფარეხების აღებასა და მათ ნაცვლად პარკების და სკვერების მოწყობაზე განმარტა, რომ პროექტი გრძელდება, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ავტოფარეხი არის კერძო საკუთრება, ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მოსახლეობასთან ურთიერთშეთანხმებით. ე.წ. „ხრუშჩოვკებზე" განაცხადა, რომ ეს იყო მისი წინასაარჩევნო დაპირება: „მე ჩემი ნათქვამი ყველა სიტყვა მახსოვს" და უკვე დაგეგმილია ორი კონკრეტული პროექტის განხორციელება და

ინვესტორებს, მუნიციპალიტეტის მხრიდან ექნებათ მაქსიმალური ხელშეწყობა, რათა მთელი ქალაქის მასშტაბით დაიწყოს „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების პროექტი.

მაია ბითაძემ განმარტა, რომ დაავადებული ხეების ინვენტარიზაციის შედეგად არსებული რეალობა სამწუხაროა, თუმცა, აუცილებლად უნდა მოხდეს დაავადებული ხეების ჩანაცვლება როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე, კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიიდან. მომდევნო წლის განმავლობაში, გათვალისწინებულია დაახლოებით 24000 ახალი ნერგის დარგვა, როგორც ურბანულ გარემოში დიდი ხეების, ასევე, თბილისის შემოგარენში მცირე ზომის ხეების დარგვა. 2019 წლის ბიუჯეტში ასახულია მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, მათ შორის, შეწამვლის და ფიტო-სანიტარული ღონისძიებები. ასევე, ისაუბრა გამწვანებაზე და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ჩამოყალიბებულია ერთიანი, გრძელვადიანი ხედვა და კონცეფცია, რომლის ფარგლებში, გენერალური გეგმის მიხედვით, ათი წლის შემდეგ, ერთ სულ მოსახლეზე უნდა მივიღოთ 11 კვ.მ. მწვანე საფარი და ამ გეგმაში გამოიხატება რამდენიმე ძირითადი მიმართულება: დამტკიცებულია ჩვენი კლიმატისთვის ადეკვატური მცენარეთა სახეობები; სამშენებლო ნორმებში ინტეგრირდა დენდროლოგიური პროექტები, რის მიხედვითაც, მომდევნო წლების განმავლობაში, კ3 კოეფიციენტის დიდ წილობრივ მონაწილეობას - მწვანე საფარს მივიღებთ; გვაქვს ფერდობების გამწვანების დიდი გეგმა, რომელიც ასევე, ერთიანი კონცეფციის ნაწილია; დაგეგმილია ორი, ძალიან დიდი, ახალი საქალაქო პარკის მოწყობა; ასევე, დაგეგმილია ბეტონის კუნძულების და ქუჩების მასშტაბური გამწვანება. მაია ბითაძემ უპასუხა ლილოში არსებულ ნაგავსაყრელთან დასმულ შეკითხვას და განმარტა, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. კერძოდ: იქიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელია არსებულმა პოლიგონმა მიიღოს ნარჩენები, დაწყებულია მუშაობა მესამე უჯრედის გახსნაზე; პარალელურ რეჟიმში მუშავდება არსებული პოლიგონის რეკულტივაციის და დახურვის გეგმა; მომდევნო წელს დაიწყება გადამტვირთი სადგურის რეაბილიტაციის სამუშაოები; ასევე, დაიწყება ლილოს ნაგავსაყრელზე არსებული ნაჟური წყლების გამწმენდი ნაგებობის სრული რეაბილიტაცია. შესაბამისად, „თბილსერვის ჯგუფისთვის“ დამატებით გამოყოფილი 15 მილიონი ლარი მიემართება არსებული პოლიგონის რეაბილიტაცია-დახურვის პროგრამის დაწყებისკენ, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ პოლიგონზე არ მივიღოთ ეკოლოგიური კატასტროფა.

ირაკლი ბენდელიანმა ამა თუ იმ კომპანიასთან ტენდერის გარეშე გაფორმებულ ხელშეკრულებებზე განმარტა, რომ როდესაც საუბარია ისტორიულ ძეგლებზე, ამ შემთხვევაში, უმთავრესია არა ის, რომ სამუშაოები განხორციელდეს ტენდერის გზით, რაც შეიძლება დაბალ ფასად, არამედ ის, რომ ჩასატარებელი სამუშაოები განხორციელდეს რაც შეიძლება მაღალი ხარისხით, რათა ამა თუ იმ ძეგლმა არ დაკარგოს პირვანდელი სახე. მისი თქმით, გამარტივებული შესყიდვის ყველა შემთხვევაში წინასწარ ხდება კომპანიების გამოკითხვა, შერჩევა ხდება ფასისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიხედვით და მხოლოდ ამის შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება. განმარტება გააკეთა ასევე, უფასო სასადილოებთან დასმულ შეკითხვაზე და აღნიშნა, რომ ათივე გამგეობაში უკვე ჩატარებულია ტენდერი, რომლის სავარაუდო ღირებულება იყო 1.30 ლარი. რვა გამგეობაში ხელშეკრულება კონტრაქტდება აღნიშნული თანხით, ხოლო ორში არის მცირედი კლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტენდერები დასრულდა წარმატებით და მომავალი წლიდან, მომსახურება გაგრძელდება ყოველგვარი შეფერხების გარეშე. ქალაქში სამისამართე აბრების ერთიანი სტანდარტის შემოღებაზე განმარტა, რომ ამ მიმართულებით არის გარკვეული იდეები და შესაძლებელია ამ საკითხზე ერთობლივი მუშაობა.

მამუკა კობახიძემ, განმარტა, რომ ვარკეთილის მეტროში ჭერის ჩამონგრევა გამოიწვია არა მხოლოდ პროექტრში არსებულმა ხარვეზმა, არამედ, ასევე, სამუშაოების განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ დაშვებულმა უზუსტობებმა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც დაიწყება სარემონტო სამუშაოები. რაც შეეხება სამოხელეო დანაშაულს, პროკურატურას დაწყებული აქვს წარმოება.

ირაკლი ხმალაძემ განმარტა, რომ ავარიული კორპუსების რეაბილიტაცია მიმდინარეობს საკრებულოს მიერ მიღებული წესით. 2018 წელს ამ მიმართულებით გამოყოფილი იყო 18

მილიონი ლარი, რომელიც შემცირდა სატენდერო ეკონომიების გზით. იმისთვის, რომ უფრო მასშტაბურად შევძლოთ ამ პროექტის განხორციელება, შეგვიძლია შევაჯამოთ 2018 წელს ჩატარებული სამუშაოები და ამის საფუძველზე, დავგეგმოთ მომავალ წელს განსახორციელებელი სამუშაოები. მართალია 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი დაფინანსება ამ მიმართულებით შედარებით მცირეა, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება დამატებითი სახსრების გამოყოფა, რადგან ეს არის ქალაქის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და საზრუნავი. ასევე, უპასუხა დასმულ შეკითხვას თუ რა თანხით არის 2019 წლის ბიუჯეტის ზრდა მოსალოდნელი და აღნიშნა, რომ სპეციალური ტრანსფერი იქნება 75 მილიონი ლარი და იმ თანხებით, რომელიც წლის ბოლომდე დაფიქსირდება, როგორც ჭარბი შემოსავლები. ირაკლი ხმალაძემ ასევე უპასუხა შეკითხვას თუ რატომ ვერ მოხდა ცენტრალური ბიუჯეტიდან 170 მილიონი ლარის გადმოტანა უფრო ადრე და აღნიშნა, რომ ეს თანხა შეტანილი იქნება კაპიტალში, საიდანაც 80 მილიონი ლარი განკუთვნილია 220 ერთეული ავტობუსის შესაძენად; 20-25 მილიონი ლარი გათვალისწინებულია სატრანსპორტო კომპანიის დაფინანსებისთვის, რომლის დიდი ნაწილი მოხმარდება ავტობაზების მოწესრიგებას, გაზგასამართი სადგურების მოწყობას და მეტროპოლიტენის მიმართულებას; 20 მილიონი ლარამდე თანხა მიმართული იქნება მეტროს ვაგონების მოდერნიზაციისთვის; 7 მილიონი მიმართულია „თბილსერვის ჯგუფის" დაფინანსებისთვის და ეს თანხა მოხმარდება სპეც.მანქანების შეძენას, რადგან აუცილებელი ნარჩენების მართვის მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების გაძლიერება; 15 მილიონი ლარი გამოყოფილი იქნება ნაგავსაყრელი პოლიგონის მოწყობისთვის. შესაბამისად, ამ თანხის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია 2019 წელს განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის. ირაკლი ხმალაძემ ბიუროკრატიულ ხარჯებზე განაცხადა, რომ „ეს არ არის ბიუროკრატიული ხარჯები, ეს არის ხარჯები, რომელიც სჭირდება ქალაქს", რადგან ქალაქში არსებულ საჭიროებებთან და პრობლემებთან გამკლავება შეუძლებელია სამუშაო რესურსის გარეშე. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა ე.წ. „ხრუშკოვკების" ჩანაცვლების პროექტზე და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში უნდა დაინერგოს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, ბიზნეს-სექტორთან ერთობლივი მუშაობით, შემუშავდება ისეთი ეკონომიკური მოდელი, რომ ყოველწლიურად მოხდეს შენობების ჩანაცვლება.

სოფიო ხუნწარიამ განმარტა, რომ საბიბლიოთეკო რეფორმა გარდაუვალია, რათა ბიბლიოთეკებში დაინერგოს თანამედროვე მომსახურეობა. ამისთვის კი საჭიროა ბიბლიოთეკის თანამშრომლების მხრიდან ტესტირების გარკვეული ეტაპების გავლა, რასაც მოჰყვა ბიბლიოთეკარების კონკრეტული ჯგუფის წინააღმდეგობა, ხოლო ამ უკანასკნელმა გამოიწვია სასამართლო დავა. ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტი მზად არის, რომ იანვრიდან, კულტურის სამინისტროსთან ერთად, გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით. კერძოდ: ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნება დაახლოებით 900000 ლარი, რაც მოხმარდება ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის გამართვას; დაგეგმილია ფონდების გარემონტება; მედიათეკების და ბიბლიოთეკების გაერთიანება მულტიფუნქციურ ბიბლიოთეკებში და ასევე, ქალაქს შეემატება მცირე ზომის მედიათეკები. რაც შეეხება დასაქმებულთა ხელფასებს, მათი ანაზღაურება ძალიან მცირეა და აუცილებლად უნდა გაიზარდოს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოხსენებასთან დაკავშირებით, გააკეთეს შეფასებები.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ 2019 წელი გამოცხადებულია „სიყვარულით სავსე ქალაქის წლად" და ისურვა, რომ ყველამ სიყვარულით აკეთოს ქალაქისთვის გასაკეთებელი საქმე. მისი თქმით, წლიურ ანგარიშთან და ბიუჯეტთან მიმართებაში უმრავლესობის და ოპოზიციის შეფასებები ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება, თუმცა ფაქტია რომ 2018 წელი თბილისისთვის იყო ძალიან აქტიური, საინტერესო და გამორჩეული. ასევე, ფაქტია, რომ მოსახლეობამ ხმა მისცა იმ კონცეფციასა და წინასაარჩევნო პროგრამას, რომელიც ქალაქის მერის მიერ იყო წარდგენილი და ამ პროგრამას მიჰყვება მუნიციპალიტეტი თანმიმდევრულად

და მიზანმიმართულად: გადამუშავდა გენ.გეგმა; განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები და სხვადასხვა სამსახურები ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდა; სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით სრულად იცვლება ავტობუსების პარკი და მიმდინარეობს მეტროს რეაბილიტაცია; გაფართოვდა სოციალური პოლიტიკა; აქტიურად განხორციელდა გარემოსდაცვითი ღონისძიებები; სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით აშენდა მულტიფუნქციური კომლექსები; მართვის პოლიტიკის მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ნაბიჯები; პირველივე წელს შესრულდა ის დაპირება, რომ ოთხი წლის განმავლობაში თბილისის ბიუჯეტი გადააჭარბებდა მილიარდ ლარს, რაც არის დიდი მიღწევა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რაც გაკეთდა ერთი წლის განმავლობაში ძალიან ბევრია, თბილისის პრობლემებთან გასამკლავებლად საკმარისი არ არის. ჩვენს წინაშე, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი პრობლემა დგას და უმრავლესობაც და ოპოზიციაც ამას უნდა მივუდგეთ ერთიანი პოზიციით, რომელიც უნდა იყოს ქალაქის პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა. საუბრის ბოლოს, ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ 2019 წლის ბიუჯეტი მოაგვარებს თბილისში არსებულ ძალიან ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას.

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ ნებისმიერი დებატები, მათ შორის, მწვავე პოლიტიკური დებატებიც უნდა წარიმართოს კორექტულობის ფარგლებში და ოპონენტებმა უნდა მოისმინონ ერთმანეთის არგუმენტები. მისი თქმით, ოპოზიცია ყოველთვის საუბრობს იმაზე, რასაც არ ეთანხმება და რაც არ მოსწონს ხელისუფლებას, თუმცა ეს ასეა და ხელისუფლება უნდა შეეგუოს. კახა კალაძის განცხადებიდან გამომდინარე, რომ ახსოვს წინასაარჩევნო კამპანიის დროს ნათქვამი ყველა სიტყვა, ისაუბრა იმაზე, თუ რამდენად თანმიმდევრულია ქალაქის მერი წინასაარჩევნო დაპირებების განხორციელებაში. გიორგი გაბაშვილმა გაიხსენა, რომ კახა კალაძე იქნებოდა არა მხოლოდ თავისი მომხრეების და თანაპარტიელების, არამედ ყველა თბილისელის მერი და განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა ეს ასე ყოფილიყო. და რომ ეს ასე არ არის, ამას მოწმობს ქალაქის მერის გამონათქვამები, რომლებიც მას წარმოაჩენს მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ძალის მომხრე და არა მთელი თბილისის მერად, სადაც ასეულობით ათასი ადამიანი მას მხარს არ უჭერს. კახა კალაძე საუბრობდა მერიაში გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობაზე, თუმცა, ქალაქის მერად არჩევის შემდეგ მან გააუქმა რამდენიმე საბჭო, სადაც, გარკვეული სფეროების მიმართულებით დასაქმებული იყვნენ მერის მრჩეველები და მიუხედავად მოლოდინისა, რომ შეიქმნებოდა პროფესიონალებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ორგანოები, მსგავსი არაფერი მომხდარა და მერიაში გადაწყვეტილებები კონსოლიდირებულად და კონცენტრირებულად მიიღება მხოლოდ ბიუროკრატიაში და სახელმწიფო აპარატში. იყო დანაპირები, რომ შემცირდებოდა ბიუროკრატიული ხარჯები, თუმცა ხდება საპირისპირო და ამ მიმართულებით დაფინანსება გაზრდილია და ბევრად უკეთესი იქნებოდა, ეს თანხა გადანაწილებულიყო სხვადასხვა საჭიროებებზე. ყველასთვის ცნობილია, რომ მუნიციპალიტეტში არის კორუფციის რისკები, რომლის სისტემური ზრდა ხდება მაშინ, როდესაც წესების დარღვევით და სხვადასხვა მიზეზებით ხდება პირდაპირი შესყიდვის წესით ხელშეკრულებების გაფორმება ან ისეთი ტენდერების ჩატარება, რომლებშიც მხოლოდ ერთი კომპანია იღებს მონაწილეობას. ეს ყველაფერი აჩენს შეკითხვებს, რომ ბიუჯეტიდან გასული თანხის ნაწილი, არაკანონიერი გზით ბრუნდება იქ, საიდანაც გაიცემა. გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგია ქალაქის მერის მზადყოფნა, რომ განიხილავს და გადაწყვეტს აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების პრობლემას და საჭიროების შემთხვევაში, ამ მიმართულებით გაიზრდება დაფინანსება, თუმცა, კიდევ არის ისეთი საკითხები, რომლის გადაწყვეტაც აუცილებელია: თუ არ არის დუბლირება და ამ საქმეს არ აკეთებენ სხვადასხვა სამინისტროები, გაუგებარია, რატომ აღარ ფინანსდება ინკლუზიური განათლების პროგრამა და შეზღუდული შესაძლებელობის მქონე პირებისთვის საზაფხულო დახმარების პროგრამა; რატომ მცირდება ავარიული სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება; მიუხედავად იმისა, რომ თანხა არის, პენსიონერებისთვის არ კეთდება მუნიციპალური სოციალური საპენსიო დანამატი და ზოგადად, რატომ მცირდება იმ მუხლების დაფინანსება, რომლებსაც ყველა თვლის, რომ უნდა გაკეთდეს.

ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, იმისთვის რომ შეფასდეს ადმინისტრაციის საქმიანობა განვლილი ერთი მანძილზე, აუცილებელია, ის შევადაროთ სხვა ხელისუფლებების საქმიანობას, შექმნილ ბიუჯეტს და განხორციელებულ პროექტებს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", წლების განმავლობაში, ყოველგვარი სტრატეგიის და პრინციპების გარეშე, დანაშაულებრივად მართავდა ქალაქს. მათი შეცდომების გამოსწორებას დიდი დრო, ძალისხმევა და ფინანსური რესურსი სჭირდება. მისი თქმით, თბილისში განხორციელდა ფუნდამენტური და ძირეული ცვლილებები: წლების განმავლობაში, იყიდებოდა მოედნები, სკვერები, საზოგადოებრივი სივრცეები, ხოლო, დღევანდელი ხელისუფლება ამ სივრცეებს უბრუნებს ქალაქს; წლების განმავლობაში, საქალაქო მნიშვნელობის გადაწყვეტილებები მიიღებოდა ერთი ან რამდენიმე ადამიანის სურვილზე დაფუძნებით, ხოლო დღეს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაბრუნდნენ თბილისელები; წლების განმავლობაში მახინჯდებოდა ქალაქი, ხოლო დღეს, ეტაპობრივად მიმდინარეობს ამ მდგომარეობის გამოსწორება; ქალაქის ურბანული პოლიტიკა ქმნის სამართლიან და ქალაქის ინტერესებზე დაფუძნებულ „თამაშის წესებს"; სატრანსპორტო სისტემა გადადის თანამედროვე სტანდარტებზე; ქალაქი ზრუნავს ყველა იმ ადამიანზე, რომელსაც სჭირდება დახმარება. საუბრის ბოლოს, ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ „მიღებული მემკვიდრეობის ფონზე, გასული ერთი წელი შეიძლება შეფასდეს გარდამტეხ პერიოდად, რადგან მომავალი სწორი განვითარებისთვის ჩაისხა სერიოზული ფუნდამენტი".

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, მოქალაქეთა პრობლემების მოსაგვარებლად, შემუშავდა და დაინერგა პროგრესული მიდგომები და მმართველობის რეფორმატორული სტილი. განვლილ წელს ჩვენ გავხდით თამამი და ამბიციური მიდგომების თანამონაწილეები, როგორებიც იყო: კომპანია „ct-park"-თან ხელშეკრულების შეწყვეტა; ტაქსების რეფორმა; ურბანული და საამშენებლო კრიტერიუმების შეცვლა; მერიაში განხორციელდა კომპლექსური და ეფექტიანი სტრუქტურული რეორგანიზაცია. თამარ ტალიაშვილის თქმით, როდესაც საუბარია 2018 წელს გადადგმულ მასშტაბურ ნაბიჯებზე, აღსანიშნავია ათწლეულების მანძილზე დაჭაობებული თემქის ხევის ადგილას საქალაქო მნიშვნელობის პარკის მშენებლობისთვის გადადგმული ნაბიჯები, რაც ადგილობრივ მოსახლეობის არა მხოლოდ ეკოლოგიურ, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ასევე, ისაუბრა 2019 წლის გეგმებსა და მოლოდინებზე და აღნიშნა, რომ მომდევნო წელი განათლებისა და კულტურის მიმართულებით, იქნება უმნიშვნელოვანესი და წარმატებული.

დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ 2019 წლის ბიუჯეტი უპრეცედენტოდ დიდი მოცულობისაა და განაცხადა „ვაკეთოთ კარგი საქმე".

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ მხოლოდ გუდიაშვილის და ორბელიანი მოედნების რეაბილიტაციის პროექტებია საკმარისი იმისთვის, რომ 2018 წელი შეფასდეს წარმატებულ წლად. აღსანიშნავია, ასევე, მუნიციპალურ ინსპექციასა და საქართველოს შრომის ინსპექციას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც მუნიციპალური ინსპექცია აქტიურად ჩაერთო შრომის უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგში და ზედამხედველობაში და ამ კუთხით გატარებული ღონისძიებების შედეგად, თბილისში სიკვდილის და ტრამვირების შემთხვევები ათჯერ შემცირდა.

ირაკლი ზარქუამ ისაუბრა თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე და აღნიშნა, რომ დაფინანსება გაზრდილია ინფრასტრუქტურის და უფასო სასადილოების მიმართულებით. თუმცა, არც ესაა საკმარისი, რადგან ყველას სურვილია, რომ არათუ თბილისში, არამედ საქართველოში არ იყოს უფასო სასადილოებით სარგებლობის საჭიროების მქონე არც ერთი ადამიანი. ასევე, ისაუბრა ცენტრალური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადმორიცხულ 170 მილიონ ლარზე და განმარტა, რომ ის განკუთვნილია კონკრეტული პროექტებისთვის. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ 2019 წლის ბიუჯეტი გაიზრდება, გადააჭარბებს მილიარდ ლარს და ორიენტირებული იქნება მოსახლეობის საჭიროებებზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა დასკვნით სიტყვაში აღნიშნა, რომ მისი „წარმატების ფორმულის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არის ის, რომ საუბარზე მეტად უყვარს მოსმენა და განაცხადა „მე ვისმენ იმ კრიტიკას და დამოკიდებულებას, რაც, თუნდაც, კრიტიკულ და დესტრუქციულ ოპოზიციას აქვს პირადად ჩემს მიმართ, ჩემი თანაგუნდელების მიმართ, მე ვისმენ საზოგადოების მოსაზრებას, ვაკეთებ სწორ ანალიზს და ვიღებ სწორ გადაწყვეტილებებს ჩემს თანაგუნდელებთან ერთად“. ოპოზიციის წარმომადგენლები არასდროს საუბრობენ ხელისუფლების მიერ გაკეთებულ კარგ საქმეებზე, რადგან არ სურთ დაინახონ ის წარმატება რაც ხდება დედაქალაქში და ზოგადად, ქვეყანაში. ერთი წელი დედაქალაქში არსებული პრობლემების სრულად მოსაგვარებლად ცოტაა, თუმცა, დღევანდელმა ხელისუფლებამ მყარი საფუძველი ჩაუყარა ქალაქის სწორ და მდგრად განვითარებას არაერთი მიმართულებით. „როდესაც სრულიად გულწრფელად, მთელი მონდომებით, სიყვარულით ცდილობ ბოლომდე დაიხარჯო და მაქსიმალური გააკეთო შენი ქალაქისთვის, დამერწმუნეთ, რომ ამას მოსახლეობა ხედავს და შემხვედრ ნაბიჯებს დგამს.“ კახა კალაძის თქმით, ეს იგრძნობა ყოველი პრობლემის მოგვარებისას და ივსება კიდევ უფრო მასშტაბური და საშური საქმეების კეთების ენერგიით. ისურვა, რომ 2019 წელი იყოს კიდევ უფრო აქტიური წელი და ქალაქის ხელისუფლებამ შეძლოს უფრო მეტი პრობლემის მოგვარება და პროექტების განხორციელება, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „2019 წელი იქნება კიდევ უფრო უკეთესი წელი და ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ ის, რომ ხვალინდელი თბილისი იყოს უფრო კომფორტული საცხოვრებლად, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ყველა რაიონში, უბანში და ქუჩაზე. ხვალინდელი თბილისი იყოს ეკოლოგიურად სუფთა, მწვანე სკვერებით და ქუჩებით“. მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოდაგოებას, მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წლის დღესასწაული და წარმატებები უსურვა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ თბილისის მერის ანგარიში იყო ამომწურავი და ასახავს დღევანდელი ხელისუფლების შემართებას.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და აღნიშნა, რომ ბიუჯეტი შეადგენს 927 მილიონ ლარს, რაც 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე 66 მილიონი ლარით მეტია და დეტალურად ისაუბრა ბიუჯეტის მაჩვენებლებზე: 927 მილიონი ლარიდან საშემოსავლო ნაწილი შეადგენს 900 მილიონ ლარს, საიდანაც დაახლოებით 658 მილიონი ლარი საგადასახადო ნაწილია, გრანტების ნაწილია 51 მილიონი ლარი, ხოლო სხვა შემოსავლები შეადგენს 190 მილიონ ლარს, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 20 მილიონით ლარით. საშემოსავლო ნაწილში წარმოდგენილია ზრდა რამდენიმე მიმართულებით: საქონლის და მომსახურების რეალიზაცია, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები. კლება წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების კლების მიმართულებით, კერძოდ, პრივატიზაციის კუთხით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე აღნიშნა, რომ 927 მილიონი ლარიდან, დაახლოებით 328 მილიონი ლარი დაიხარჯება ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების მიმართულებით, ინფრასტრუქტურის მიმართულებით - 357 მილიონი ლარი, რასაც წლის განმავლობაში დაემატება 75 მილიონი ლარი. ირაკლი ხმალაძემ განაცხადა, რომ 2019 წლის ბიუჯეტი გადააჭარბებს ერთ მილიარდ ლარს და აღსანიშნავია, რომ თბილისის ბიუჯეტი ასეთი მაღალი მაჩვენებლით არასდროს ყოფილა წარმოდგენილი, რაც იძლევა იმის თქმის საბაბს, რომ 2019 წელი ქალაქისთვის იქნება კიდევ უფრო სასიკეთო, ეფექტური და შედეგიანი. ისაუბრა იმ მიმართულებებზე, სადაც დაგეგმილია დაფინანსების ზრდა: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები, კაპიტალური ხარჯები. ირაკლი ხმალაძემ ასევე, ჩამოთვალა ის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია 2019 წელს: ხიდების და გვირაბების მოწყობა-რეაბილიტაცია,

მათ შორის მდინარე გლდანულაზე არსებული ხიდების რეკონსტრუქციის სამუშაოები; უნივერსიტეტის ქუჩის და წყნეთის გზატკეცილის ბაგების დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობის დაწყება; ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდის რეაბილიტაცია; სასტუმრო „რედისონთან" არსებული გვირაბის მიწისქვეშა ავტოსატრანსპორტო გასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გმირთა მოედანზე მიწისქვეშა გზაგამტარის რეაბილიტაცია; სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია; სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა; კახეთის გზატკეცილის რეაბილიტაცია; ორბელიანის და გუდიაშვილის მოედნების და მშრალი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება; ორი მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობის დაწყება; საბურთალოზე და ვაკის პარკში არსებული ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია. 2019 წლის განმავლობაში თბილისის ბიუჯეტისთვის დამატებული 75 მილიონი ლარით დაფინანსდება რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი: ვაკის რაიონში, ილია ჭავჭავაძის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გლდანის რაიონში, ხიზანიშვილის და ვეკუას ქუჩების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები; მაჭავარიანის და გელოვანის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა; ახალი ისტორიული არეალის, ფიროსმანის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება; გორგასლის ქუჩის საპროექტო სამუშაოები და მშენებლობის დაწყება; მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი